

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი

რეგენზია კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაციებისა და პროტოკოლების თაობაზე

ეპილევსია

ნაციონალური გაიდლაინი
სრული ვერსია

და

ეპილევსიის მართვის პროტოკოლები

დავალების განმარტება;

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირმა განიხილა და მოამზადა რეცენზია ეპილექსიის მართვის კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური სახელმძღვანელოსა და თანდართული პროტოკოლების თაობაზე:

1. პირველადი ჯანდაცვის ექიმებისათვის ეპილექსიის მართვის პროტოკოლი
2. ეპილექსიური სტატუსის მართვის პროტოკოლი გადაუდებელი დახმარების ექიმებისათვის

კლინიკური პრაქტიკის სახელმძღვანელო და პროტოკოლები შეაფასა საოჯახო მედიცინის ექსპერტთა ჯგუფმა.

I. ზოგადი კომენტარები

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეპილექსიის მართვის კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური სახელმძღვანელოსა და პროტოკოლების შემუშავება და დანერგვა, ამ პრობლემის ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობისა და მისი მართვისთვის დაუყოვნებელი და სწორი მოქმედების მნიშვნელობის გათვალისწინებით, უდავოდ საშური საქმეა.

სახელმძღვანელოში ნათლადაა წარმოდგენილი პრობლემის ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობა, განხილულია მისი სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები, რაც მნიშვნელოვნად გაუიოლებს პრაქტიკოს ექიმებს, განსაკუთრებით პირველადი ჯანდაცვის ქსელში, რომლებისთვისაც ანამნეზი და ფიზიკალური მონაცემები კლინიკური გადაწყვეტილების მთავარი საფუძველია, დიფერენციულ დიაგნოსტიკას და დაავადების სწორ მართვას.

გაიდლაინი გვათავაზობს ეპილექსიის მართვის კონკრეტულ სქემას, რაც ითვალისწინებს ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა დონის შესაძლებლობებს.

გაიდლაინის სტრუქტურა

რეცენზირებული სახელმძღვანელოს სტრუქტურა შესაბამისობაშია კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან (საბჭოს დებულება მუხლი 4, პუნქტი 14) და მოიცავს ფორმით განსაზღვრულ აუცილებელ თავებს.

თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი (ცხრილები, სქემები) ინფორმაცია მართვისა და მკურნალობის გზების თაობაზე, რაც გააიოლებს მის აღქმას პრაქტიკოსი ექიმების მიერ.

გაიდლაინის შინაარსი

შინაარსი ჩამოყალიბებულია ნათლად. თავმოყრილია მსოფლიოში ჩატარებული სარწმუნო კვლევების შედეგები, რომელთა გაცნობა გაზრდის პრაქტიკოსი ექიმების მოტივაციას შეასრულოს მითითებული რეკომენდაციები. მითითებულია მტკიცებულებების ხარისხი.

შესაბამისობა პჯდ ექიმების პროფესიულ კომპეტენციასა და ქსელში არსებულ რესურსთან

პჯდ ექიმებისთვის რეკომენდებული ღონისძიებების განხორციელება დღეს სისტემაში არსებული რესურსის ფარგლებში, სავსებით შესაძლებელია.

განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ სახელმძღვანელო იძლევა რეკომენდაციებს პრეპოსპიტალური ეტაპის და უკურეფერალის პირობებში პაციენტის შეფასებისა და დაავადების მართვის შესახებ. თავისთავად ეს გადაწყვეტილებაა ოჯახის ექიმებს სერიოზულ ფუნქციას აკისრებს. პირველადი ჯანდაცვის პაკეტი ითვალისწინებს სპეციფიური კითხვარებისა და ფორმების ყველა

გამოყენებას ოჯახის ექიმებისთვის, რისი პჯდ დონეზე დანერგვაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს გამოსავლებს.

პროტოკოლები

წარმოდგენილი პროტოკოლები ძირითადად ითვალისწინებს დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) ფორმა №2-ის მოთხოვნებს, მასში გათვალისწინებული არის ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი მიზანშეწონილად მიიჩნევა აღნიშნული სახით პროტოკოლების გამოყენებას პირველადი ჯანდაცვის გუნდებისათვის.

II. სპეციფიკური კომენტარები

- რაიმე სპეციფიკური შენიშვნა არ გაგვაჩნია

დასკვნა:

- რეცენზირებული სახელმძღვანელო, მისი ამომწურავი შინაარსისა და პირველადი ჯანდაცვის ექიმების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების მნიშვნელობის გათვალისწინებით, დადებითად უნდა შეფასდეს;
- სასურველია, რომ საოჯახო მედიცინის მოდელის ამგვარი სწრაფი განვითარების პრობებში, მნიშვნელოვანია, ადრეულ ეტაპზევე შეფასდეს გაიდლაინის დანერგვის პირველი შედეგები, რათა იგი შეესაბამებოდეს პირველადი სამედიცინო მომსახურების მოდელის შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.